

დაამტკიცა:

დირექტორი



30 სექტემბერი 2020წ.

ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა

### მიზნობრივობა

„ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების საგანგებო გეგმი“-ს მთავარი მიზანია მსოფლიო პანდემიის პირობებში COVID-19-გან დაცვის ღონისძიებების გაწერა და მათი ეფექტური განხორციელების კონტროლის განსაზღვრა. აღნიშნული გეგმა სრულად ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მითითებებს და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) რეკომენდაციებს.

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია ძირითადად გამოყენებული იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანებით (მისი შემდგომი ცვლილებებით) დამტკიცებული რეკომენდაციები, კერძოდ:

- სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ზოგადი რეკომენდაციები (დანართი N1);
- ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები მომსახურების/საოფისე საქმიანობისთვის (დანართი N3);
- ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის (დანართი N17);
- ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ბიბლიოთეკებისთვის (დანართი N36);
- ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (დანართი N38);



- ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციისადმი (COVID-19) ექსპოზირებული არასამედიცინო ობიექტების დასუფთავების დროებითი რეკომენდაციები;

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება.

### რისკების შეფასება

აღნიშნული გეგმის გაწერამდე ჩატარდა დეტალური რისკების შეფასების პროცესი (დანართი N1). რისკების შეფასების პროცესის შედეგად მიღებული შედეგები შეედარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებულ ზოგად რეკომენდაციებს და დადგინდა, რომ სასწავლებლის თანამშრომლებისა, სტუდენტების და სხვა პირების მიერ გასაწევი ურთიერთობები გადის COVID-19-ის მიმართ ინფიცირების საშუალო რისკის კატეგორიაში.

აღნიშნული რისკის დონის გათვალისწინებით შემუშავებულ გეგმაში გაწერილი კონტროლის მექანიზმების გატარება/დანერგვისას რისკის წარმოქმნის ალბათობის დონე მცირდება, შესაბამისად ინფექციური დაავადების გავრცელების საფრთხე მცირდება.

კონტროლის მექანიზმების შემუშავება წარიმართა საერთაშორისოდ აპრობირებული კონტროლის მექანიზმების იერარქიის მიხედვით:

- პროცედურები (მაგ. - ღონიძიებების პროცედურის შეცვლა, ახლების დამატება);
- საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები (მაგ. - დამცავი ბარიერები და ა.შ.);
- ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები (ინსტრუქციები, ტრენინგი, სადღეინფექციო საშუალებების უზრუნველყოფა, საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შემუშავება);
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (ნიღბები,
- სათვალეები, ხელთათმანები, კომბინიზონი).

### ძირითადი ღონისძიებები

შენობაში შესასვლელად გამოიყენება ერთი შესასვლელი, სადაც:

- შესვლისას ნებისმიერ პირს უტარდება თერმოსკრინინგი. თერმოსკრინინგის ჩატარება აკისრია დაცვის თანამშრომლებს;
- თერმოსკრინინგის გავლისას რიგში სოციალური დისტანციის დაცვის უზრუნველსაყოფად შენობის შესასვლელთან სასიარულო ზედაპირზე გაკეთებულია მონიშვნა (2 მეტრის დაშორებით). ასევე შემომსვლელთა ნაკადის გაზრდისას ადამიანთა რიგში თავშეკრის თავიდან აცილების მიზნით,



ტერმოსკრინინგის ჩატარება შესაძლებელია ორი დისტანციური თერმომეტრით ორი დაცვის თანამშრომლის მიერ;

- შენობის, სასადილოს და სამზარეულოს შესასვლელებში განთავსებულია დეზობარიერები;

შენობის მთავარ შესასვლელებში თვალსაჩინო ადგილას (რესეპშენის მაგიდასთან) განთავსებულია ინფორმაცია COVID-19-ის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების, იდს-ის გამოყენების და ვირუსული ინფექციის სხვა ინფორმაციის შესახებ. ლექტორატის და ადმინისტრაციის ოთახში გამოკრულია ინფექციური დაავადების გავრცელების პრევენციის შესახებ საერთო ინფორმაცია.

შენობის ჰოლში შესასვლელებთან კედელზე დამონტაჟებულია ხელის სადეზინფექციო ხსნარის 2 ცალი დისპენსერი, თითოთითო “-1” და მე-2 სართულზე. გარდა ამისა სადეზინფექციო ხსნარების (კომბინირებული ხელების და მყარი ზედაპირებისათვის) შესაშურებლები განლაგებულია აუდიტორიებსა და თანამშრომლებისათვის განკუთვნილ ოთახებში (სამუშო ზედაპირების ხშირი გაწმენდის უზრუნველსაყოფად);

ყოფილი რესეფშენის მაგიდაზე განთავსებულია:

- 10 ცალი ერთჯერადი პირბადე,
- 5 წყვილი ერთჯერადი ხელთათმანი;
- 2 ცალი სახის ფარი;
- 1 შეკვრა ხელსახოცები.

სამედიცინო ოთახში ინახება ინფექციური დაავადებებისაგან დაცვის ულვევი მარაგი შემდეგი რაოდენობით:

- 50 წყვილი ერთჯერადი ხელთათმანი,
- 40 ცალი ერთჯერადი პირბადე,
- 5 ცალი სახის ფარი,
- 5 ცალი ერთჯერადი ხალათი.

მარაგში ასევე არის ულვევი ხელის და მყარი ზედაპირების სადეზინფექციო 5 ლიტრა ხსნარი და დეზობარიერების გაუზავებელი ხსნარის 100 მილილიტრის ოდენობით.

კორიდორებში და შესასვლელის კარებზე განთავსებულია მოთხოვნა პირბადეების გამოყენების შესახებ. შენობაში სასწავლებლის ფარგლებში პირბადეების გამოყენებით გადაადგილების კონტროლი აკისრია დაცვის თანამშრომლებს, ამავდროულად შენობაში სასწავლებლის ფარგლებში სასწავლებლის ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

სასწავლო აუდიტორიებში, ადმინისტრაციული სათავსოებში და საერთო სარგებლობის ფართებში (კვების ობიექტი, მიმღები, ბიბლიოთეკა და ა.შ.) განთავსებულია გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერები (დახურული კონტეინერები, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით), რომლებშიც ჩაფენილია ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. ასეთი ნარჩენების დროული დასუფთავება (2/3 გავსებამდე) და ერთ კონტეინერში მოთავსება აკისრია დამლაგებელს, ხოლო გატანა ხორციელდება შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;



საპირფარეშოებში განთავსებულია ხელის დაბანის საშუალებები:

- ხელსაბანი ნიჟარა,
- თხევადი საპონი,
- ხელის გასამშრალელებელი ერთჯერადი ხელსახოცი და სენსორული ხელსაშრობი.

საერთო მოხმარების სივრცეებში დისტანციის (არანაკლებ 2 მ) დასაცავად მოსასვენებელი სკამები და სავარძლები განთავსებულია სოციალური დისტანციის გათვალისწინებით;

ცხელების/რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების შემთხვევისას, შესაბამისი პირის დროებითი დაყოვნებისათვის (საჭიროების შემთხვევაში) გამოყოფილია იზოლირებული „ექიმის ოთახი“.

დღეში ერთხელ სასწავლებლის ტერიტორიაზე ზედაპირებს უნდა ჩაუტარდეს დასუფთავება/დეზინფექცია სათანადო წესით. გარდა ამისა ყოველ 2 საათში ერთხელ იწმინდება სადეზინფექციო ხსნარით ყველა ის ზედაპირი, რომელთანაც ხშირად უწევთ შეხება (მათ შორის კარის და ფანჯრის სახელოები, კიბის მოაჯირები, ლიფტის ღილაკები და სხვა ხშირად შეხებადი ზედაპირები);

### **საგანმანათლებლო პროცესის დროს (დახურულ და ღია სივრცეებში) გასატარებელი ღონისძიებები**

სასწავლო აუდიტორიებში მაგიდების/მერხების განლაგებულია იმგვარად, რომ სტუდენტები არ ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და მათ (სტუდენტებს) შორის უზრუნველყოფილია 1 მეტრიანი დისტანცია („იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების მე-6 მუხლის მე-8 ქვეპუნქტი).

მაგიდების პირისპირ განლაგების აუცილებლობის შემთხვევაში, მაგიდებს შორის დასაცავია არანაკლებ 2 მ-იანი დისტანცია;

ლექციის/სემინარის დროს პედაგოგს (როგორც სპიკერს) უნდა ეკეთოს პირბადე იმ შემთხვევაში, თუ მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ მასსა და სტუდენტებს შორის შეუძლებელია 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა. ჯგუფში აბიტურიენტთა რაოდენობიდან გამომდინარე აუდიტორიაში მერხების განლაგება განიხილება თვითოეული შეთხვევისათვის, ასევე განიხილება ლექტორის მიერ პირბადის გამოყენების აუცილებლობა.

პედაგოგები/ასისტენტები სამუშაო ადგილას გამოცხადებიან წინასწარ შედგენილი ცხრილის მიხედვით;

ინტენსიურად გამოიყენება ბუნებრივი ვენტილაცია;

დაუშვებელია სამუშაო სივრცეში პედაგოგების/ასისტენტების და სტუდენტების, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალების გარეშე ყოფნა, მათ შორის:



- ნილაბი - თუ არ არის დაცული 2 მეტრიანი დისტანციები;
- ხელთათმანი - თუ სამუშაო პროცესი ითვალისწინებს ერთსა და ინმავე ნივთის გამოყენებას სხვადასხვა პირის მიერ;
- სახის დამცავი ფარი - თუ არ არის დაცული 1 მეტრიანი დისტანცია და სხვა აუცილებლობისა, რომელიც ითვალისწინებს სახის ფარის გამოყენებას;

### ღონისძიებები კვებით უზრუნველყოფის ბლოკებისთვის

მომხმარებლებს უმასპინძლებიან ინდივიდუალური გამასპინძლების მეთოდის საშუალებით.

მაგიდებზე არ გამოიყენება არანაირი გადასაფარებელი;

ადამიანთა თავშეყრის თავიდან აცილების მიზნით, კვების ბლოკში განთავსებულია დისტანციის დაცვით (ასევე იატაკზე მონიშვნით) მხოლოდ ..... მაგიდა;

კვების ბლოკის კედელზე განთავსებულია აბრა საერთო სარგებლობის სველი წერტილის ოთახის მიმართულების მითითებით. სველი წერტილის ოთახის კარებთან კორიდორში განთავსებულია მოთხოვნა დისტანციის დაცვასთან დაკავშირებით;

დარბაზში მაგიდები და დასაჯდომი ადგილები უნდა იყოს განთავსებული შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- მაგიდებს შორის დაცულია უსაფრთხო მანძილი, არანაკლებ 2 მეტრისა;
- ერთ მაგიდასთან განთავსებულ მომხმარებლებს შორის უზრუნველყოფილია არანაკლებ 1 მეტრიანი დისტანცია;
- ერთი ადამიანის განთავსებისთვის საჭირო ფართობი შეადგენდეს არანაკლებ 2,25 კვ.მ-ს;
- სკამის საზურგეებს შორის მანძილი არანაკლებ 1 მეტრი;
- გრძელ მაგიდასთან სხდება არაუმეტეს 6 ადამიანი (1 მეტრიანი დაშორებით);
- დარბაზში უზრუნველყოფილია ხელოვნური ვენტილაციით (გარედან შესასვლელი კარების გაღებით);

### ჭურჭლის რეცხვის პროცედურები

მომხმარებლის მომსახურებისას გამოიყენება ერთჯერადი ჭურჭელი;

სამზარეულოს ჭურჭლის რეცხვა ხორციელდება როგორც წესი სარეცხ მანქანაში (განთავსებულია სპეციალურად განკუთვნილ სივრცეში);

განსაკუთრებულ შემთხვევაში სამზარეულოს ჭურჭლის რეცხვისას:

- რეცხვა და შრობა ხორციელდება სპეციალურად გამოყოფილ ზონაში;
- ჭურჭელი მექანიკურად თავისუფლდება საჭმლის ნარჩენებისგან;
- ირეცხება არანაკლებ 40°C ტემპერატურის წყლითა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით პირველ სამზარეულოს ნიჟარაში;
- ივლება არანაკლებ 65°C ტემპერატურის ცხელი გამდინარე წყლით;
- იწრიტება და შრება საწრეტზე;



ხელით რეცხვისათვის გათვალისწინებულია ორგანოფილებიანი ნიჟარა, შუშის ჭურჭლისა და სასადილო მოწყობილობებისათვის;

სარეცხ განყოფილებებში კედელზე გაკრულია ინსტრუქცია ჭურჭლისა და ინვენტარის რეცხვის წესების შესახებ, გამოყენებული სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების კონცენტრაციების მითითებით.

### დისპენსერები

სასწავლებლის სივრცეში განთავსებულ საპნის და სადეზინფექციო ხსნარების დისპენსერების, ერთჯერადი ხელსახოცების დისპენსერების და მსგავსი მოწყობილობების გამართული მუშაობის მუდმივი რეჟიმის უზრუნველყოფას ახორციელებს დამლაგებელი;

### განსაკუთრებული მოთხოვნები

დასუფთავებაზე პასუხისმგებელმა და დამხმარე პერსონალმა თავი უნდა აარიდოს მჭიდრო კონტაქტს სტუდენტებთან და უცხო პირებთან. სამუშაო პროცესისას მათ უნდა გამოიყენონ:

- ხელთათმანი;
- პირბადე;
- ხალათი;
- დიზინფექციის დროს (შესხურების ან ფუმიზაციის დროს) დამცავი სათვალე ან სახის ფარი;

თერმოსკრინინგის ჩამტარებელ პირს უნდა ეკეთოს:

- პირბადე;
- უცხო პირთან მჭიდრო კონტაქტის შემთხვევაში ხელთათმანი და სახის ფარი;
- ტემპერატურის გაზომვისას იცავდეს 1 მეტრიან დისტანციას;

თერმოსკრინინგისას ცხელების - 37°C ან 37°C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში (საჭიროების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში. ვერცხლისწყლის თერმომეტრი სავალდებულოა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით ყოველი გამოყენების შემდეგ). ტემპერატურის გადამოწმების შემდეგ ცხელების დადასტურების შემთხვევაში:

- პირი არ დაიშვება დაწესებულებაში და მასზე გაიცემა რეკომენდაცია მიმართოს ოჯახის ექიმს;
- არსებული წესით ხორციელდება სტუდენტის/პედაგოგის, თანამშრომლის დროებითი დაყოვნება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) უნდა მოხდეს საიზოლაციო ოთახში;



- დაუკავშირდით 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;
- დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხოს შესაბამის დავთარში;

დაყოვნებული პირის თანმხლება ავალთბაჩო, რა დროსაც მან უნდა გამოიყენოს:

- ერთჯერადი ხალათი;
- სახის ფარი;
- პირბადე;
- ერთჯერადი ხელთათმანები;
- შეძლებისდაგვარად შეაგროვოს მონაცემები დაყოვნებული პირის უშუალო კონტაქტებზე (სასწავლებელში ყოფნის პერიოდში)

### დასუფთავების რეკომენდებული წესი

ვინაიდან ვირუსის გარემოში სიცოცხლისუნარიანობა შესაძლოა გაგრძელდეს რამდენიმე დღის განმავლობაში, ვირუსით პოტენციურად დაბინძურებული ოთახები, ზონები, სათავსები მათ ხელახლა გამოყენებამდე აუცილებლად უნდა გაიწმინდოს ანტიმიკრობული (სადეზინფექციო) საშუალებებით, რომლებიც ეფექტურია კორონავირუსების წინააღმდეგ. დადგენილია, რომ წყლით და საყოფაცხოვრებო სარეცხი საშუალებებით დასუფთავების ჩატარება და საყოფაცხოვრებო სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება პროფილაქტიკური დასუფთავების ჩასატარებლად საკმარისია.

საყოფაცხოვრებო სადეზინფექციო საშუალებები

მიზანშეწონილია 0,1%-ი ნატრიუმის ჰიპოქლორიტის (ანუ ნეიტრალური სარეცხი საშუალება. მაგ: „დომესტოსი“) გამოყენება (განზავება 1:50 თუ გამოყენებულია საყოფაცხოვრებო მათეთრებელი - საწყისი 5%-იანი კონცენტრაციით) ზედაპირების დეკონტამინაციის (მიკროორგანიზმების განადგურება) მიზნებისათვის.

იმ ზედაპირებისთვის, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს ნატრიუმის ჰიპოქლორიტის შედეგად, დეკონტამინაციისთვის შესაძლოა 70%-ი კონცენტრაციის ეთანოლის ან სხვა პრეპარატის გამოყენება, ნეიტრალური სარეცხი საშუალებით გაწმენდის შემდეგ.

დადგენილია, რომ მყარ ზედაპირთან კონტაქტიდან 1 წუთის შემდეგ, 70% კონცენტრაციის მქონე ეთანოლს, შედარებით იგივე გავლენა აქვს ნატრიუმის ჰიპოქლორიტის 0.05 და 0.1% კონცენტრაციაში გამოყენებიდან 5 წუთის შემდეგ.

დასუფთავების რეკომენდებული წესი

სასწავლებლის სრული დალაგება განახორციელეთ დღეში ერთხელ, დროის იმ შუალედში, როცა სტუდენტები არ იმყოფებიან სასწავლებელში და თანამშრომლების მინიმალური არსებობისას;

დალაგების პროცედურის ჩატარების დაწყებამდე სათავსოში უნდა იქნას უზრუნველყოფილი ბუნებრივი განიავება;



დაუშვებელია მშრალი წესით: მტვერის გადაწმენდა, იატაკის დაგვა და სხვა ქმედებები რომლებიც დროს შესაძლოა მტვერის ხაერში გაფრქვევა;

როგორც წესი თავიდან იწმინდება მეტად დაბინძურებული არეები;

70% კონცენტრაციის მქონე ეთანოლის ხსნარით მყარი ზედაპირების მოწმენდის ჩატარება ხორციელდება სველი წესით დალაგების შემდეგ, ხოლო საყოფაცხოვრებო სარეცხი საშუალების გამოყენების შემდეგ უნდა განხორციელდეს სველი წესით მყარი ზედაპირების მოწმენდა.

ყოველ 2 საათში სასწავლებლის სარგებლობაში მყოფ სამივე სართულზე უნდა ჩატარდეს ხშირად შეხებადი ისეთ ზედაპირების სანიტარული დამუშავება როგორცა: კარების სახელოურები, საერთო სარგებლობის სკამების ხელის შეხებადი ადგილები, მოაჯირეები, ლიფტის ღილაკები, სამუშაო მაგიდების ზედაპირები, სტაციონალური ტელეფონი, პრინტერის შეხებადი ზედაპირები და ა.შ.). თავის სამუშაო ადგილის ფარგლებში ამ პროცედურების შესრულების უზრუნველყოფა აკისრია თვით თანამშრომელს, ხოლო საერთო და სამუშაო სივრცეში დამლაგებელს.

9:00-10:00 სთ, 13:00-14:00 სთ და 18:00-19:00 სთ პერიოდში სასწავლებლის სარგებლობაში მყოფ სამივე სართულზე დამლაგებლის მიერ უნდა ჩატარდეს საპირფარეშოების დასუფთავება/დეზინფექცია, ასევე ხორციელდება „ჰიგიენური ნარჩენებისათვის“ განკუთვნილი ურნების 2/3-ზე მეტად არგადავსების კონტროლი.

9:00-10:00 სთ პერიოდში დამლაგებელმა უნდა განახორციელოს სასწავლებლის სრული დალაგება ზედაპირების სადეზინფექციო საშუალებების დამუშავებით. რა დროსაც ზემოთ ჩამოთვლილ ზედაპირებთან ერთად, დასუფთავება/დეზინფექცია უტარდება ისეთ ზედაპირებს, რომლებთანაც ხშირად ხდება კონტაქტი, მაგალითად: იატაკი, კედლები, კარები, ფანჯრები, თაროები, სანიტარული კვანძები),

ყველა ქსოვილი უნდა გაირეცხოს ცხელი წყლის ციკლის გამოყენებით (90°C) და სარეცხი საშუალების დამატებით

დაასუფთავეთ ჯერ შედარებით სუფთა, შემდეგ უფრო დაბინძურებული არეები;

დაუშვებელია მშრალი დაგვა და მტვერის გადაწმენდა, რათა თავიდან ავიცილოთ მტვერისა და მიკროორგანიზმების მოხვედრა ჰაერში და სუფთა ზედაპირებზე;

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხშირად შეხებადი ზედაპირების დასუფთავებას, (მაგალითად: სახელოურები, მაგიდების ზედაპირები) და ხშირად დაბინძურებადი სივრცეების სანიტარული კვანძი (საშხაპე და საპირფარეშო) ზედაპირების დასუფთავებასა და აუცილებელი წესით დეზინფექციას;

დალაგებისა და დეზინფექციის ყოველი პროცედურის დასრულების შემდგომ გააკეთეთ შესაბამის აღნიშვნა სპეციალურ სააღრიცხვო ფორმაში;

დისტანციური მართვის პულტები აღჭურვით დამცავი გამჭვირვალე პარკებით;

ნებისმიერი ზედაპირი, რომელიც დაბინძურდა შესაძლო დაინფიცირებული პირის/პირების რესპირატორული სეკრეციის ან სხვა ორგანული სითხეების მოხვედრით გაწმინდეთ საყოფაცხოვრებო სადეზინფექციო ხსნარით. ზედაპირები ქლორით დამუშავებიდან 10 წუთის შემდგომ მოირეცხოს სუფთა წყლით;



მომსახურე პერსონალს უტარდება ინსტრუქტაჟი - მაღალი კონცენტრაციის საშუალებების გამოყენების და შენახვის წესებზე;

მათეთრებელი საშუალების გამოყენება არ არის რეკომენდირებული ისეთ ნივთებზე, როგორცაა: ტელეფონი, დისტანციური მართვის პულტი, კარის სახელური, ლიფტის ღილაკი და ა.შ. აღნიშნულის დასამუშავებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 70%-იანი სპირტის შემცველი ხსნარი;

### **კორონავირუსზე სავარაუდო სიმპტომების მქონე და დაინფიცირებულ პირებზე მონიტორინგი**

თუ პირს აღნიშნება კორონავირუსისთვის დამახასიათებელი სავარაუდო სიმპტომი, პერსონალი ვალდებულია ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს 112-ცხელ ხაზს, ხელმძღვანელობას;

ასეთ შემთხვევაში პერსონალი უნდა მოერიდოს აღნიშნულ პირთან მჭიდრო კონტაქტს, ხოლო მასზე, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა გამოიყოს დროებითი იზოლირებული ოთახი, სხვა პირებთან კონტაქტის შესამცირებლად;

იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა აღნიშნულ სავარაუდო სიმპტომის მქონე პირთან კონტაქტი, კონტაქტს ახორციელებს "თანმხლები პირი" - ბაჩო, ამ დროს მნიშვნელოვანია დაცული იქნეს სათანადო დისტანცია და გამოიყენებული იქნას სპეციალური დამცავი აღჭურვილობა;

იმ სიტუაციებისთვის როდესაც სავარაუდო სიმპტომის მქონე პირი იმყოფება ან/და დატოვა დაწესებულება, მოქმედებს განსაკუთრებული დასუფთავების და დეზინფექციის გეგმა, რომელიც გულისხმობს იმ ოთახების და არეების სადაც მოღვაწეობდა ზემოთაღნიშნული პირი, დალაგებამდე ჩატარდეს ოთახის სრული დეზინფექცია და საფუძვლიანი განიავება. მხოლოდ ამ პროცედურების შემდგომ განხორციელდეს ოთახის დასუფთავება/დალაგება;

### **მოთხოვნები დამსაქმებულთა მიმართ**

დამსაქმებელი ვალდებულია თანამშრომლები აღჭურვოს სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: ნიღაბი; ხელთათმანი; საჭიროების შემთხვევაში, დამცავი სათვალე და/ან სახის დამცავი ფარი; სპეციფიკური სამუშაოს შემთხვევაში - სპეცტანსაცმელი.

თანამშრომელთა ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ სრულყოფილი ინფორმაცია ჰიგიენისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ, მათ შორის - ხელის ჰიგიენის, ნიღბის, ბახილების და ხელთათმანის გამოყენების, აგრეთვე, მათი მორგების, ტარების მოხსნისა და მოცილების (ნარჩენების კონტეინერში განთავსება) შესახებ;



უზრუნველყავით ნარჩენების მართვა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. არ დაუშვათ კონტეინერების გადავსება 2/3 მეტად და უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება მათი დაცლისას. მოახდინეთ ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მეშვეობით;

განახორციელეთ მონიტორინგი პერსონალის მიერ დალაგებისა და დეზინფექციის პროცედურის ჯერადობასა და ხარისხზე;

ამ წესების განახორციელების მონიტორინგი ეკისრება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ალექსი გონგლაძეს.

### **მოთხოვნები სტუდენტების და უცხო პირების მიმართ**

სასწავლებლის ტერიტორიაზე არსებულ დახურულ სივრცეებში არ გამოცხადდეთ ნიღბის გარეშე;

დაიცავით სასწავლებელში მოქმედი ჰიგიენის წესები.

### **დასაქმებულთა ვალდებულებები**

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას, შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- მისაღმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მსა);
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით ადმინისტრაცია;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- გამოიყენეთ 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ჰიგიენური საშუალებები, იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;



- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება.

მონოტური პერიოდულობით პერსონალზე მიეწოდება ინფორმაცია უსაფრთხო მუშაობის პროცედურების და ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები);

### თანამშრომელთა ინსტრუქტაჟის თემატიკა

რა არის კორონავირუსი?

ახალი კორონავირუსი წარმოადგენს იმ ვირუსების ჯგუფს, რომელს თავდაპირველი ადამიანის ინფიცირების წყაროს ცხოველი წარმოადგენს და რომელიც იწვევს რესპირატორულ ინფექციებს, დაწყებული ზოგადი გაციებით, დამთავრებული მწვავე რესპირატორული სინდრომით. ამ ვირუსის ადამიანთა შორის გავრცელება პირველად წლის დეკემბერში დაფიქსირდა ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში.

როგორ ვრცელდება კორონავირუსი?

აირ-წვეთოვანი გზით - ხველით, ცემინებით - ინფიცირებულ ადამიანთან 1მ ზე ახლოს მიახლოვებით თვალებზე, პირზე ან ცხვირზე ინფიცირებული ხელის შეხებით ინფიცირებულლებთან მჭიდრო კონტაქტით - შეხება, ხელის ჩამორთმევა ფეკალიებთან კონტაქტით - იშვიათ შემთხვევაში

რა არის კორონავირუსის სიმპტომები?

- ცხელება
- ცემინება
- ხველა
- სუნთქვის გაძნელება
- პნევმონია

ვინ არის მაღალი რისკის ქვეშ?

60 წელს გადაცილებული და მწვავე ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები.

როგორ უნდა დავიცვათ თავი?



- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნით, წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით, ასევე თან იქონიეთ ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტური საშუალება.
- შეინარჩუნეთ არანაკლებ 2 მ მანძილი თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებენ ან/და აღენიშნებათ 37°C და მეტი სხეულის ტემპერატურა.
- არ შეეხოთ დაუბანელი ხელებით თვალებს, ცხვირსა და პირს. ხელებით თქვენ ეხებით ისეთ ზედაპირებს, რომლებიც შესაძლებელია ვირუსით იყოს დაბინძურებული.
- დახველებისას ან დაცემინებისას ცხვირზე/პირზე მიიფარეთ ნებისმიერი დამცავი საშუალება.
- გამოყენებული ცხვირსახოცი გადააგდეთ.
- თუ გაქვთ ნორმაზე მაღალი ტემპერატურა, ხველა და სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემები, დროულად მიმართეთ ექიმს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ იმოგზაურეთ იმ ქვეყნებში სადაც გავრცელებულია ვირუსი ან ეჭვი გაქვთ, რომ კონტაქტი გქონდათ ვირუსის მატარებელთან.
- ხშირად გაწმინდეთ თქვენი ტელეფონის, კლავიატურის, მაგიდის ზედაპირები და კარის ხელსაკიდები ანტიბაქტერიული საშუალებებით.
- ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეები დარწმუნდით რომ ჰაერის მიმოქცევა, ტემპერატურა და ტენიანობა ადეკვატურია.

პერსონალი არ უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში თუ:

- ისინი იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ ან საკარანტინე რეგიონები ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- ბოლო 14 დღის განმავლობაში კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი დადგენილი წესის შესაბამისად);
- აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.)
- მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 60 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

ალექსი კონგოაძე



გონგლაძე



